ჯიდუ კრიშნამურტი
JIDDU KRISHNAMURTI

სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
THE URGENCY OF CHANGE

თარგმანი ინგლისური ენიდან ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

მთარგმნელი: გია ბერაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3217-8

სარჩევი

ჯიდუ კრიშნამურტი
სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

თავი I
გაცნობიერება 7
თავი II
არსებობს თუ არა ღმერთი? 16
თავი III
შიში 21
თავი IV
როგორ ვიცხოვროთ ამ სამყაროში 29
თავი V
ურთიერთობა 41
თავი VI
კონფლიქტი 50
თავი VII
რელიგიური ცხოვრება 55
თავი VIII
დაინახო მთელი 61
თავი IX
მორალი 66
თავი X
თვითმკვლელობა 69
თავი XI
დისციპლინა 81

თავი XII
რაც არის 86
თავი XIII
მაძიებელი 90
თავი XIV
ორგანიზაცია 94
თავი XV
სიყვარული და სექსი 98
თავი XVI
აღქმა 103
თავი XVII
ტანჯვა 109
თავი XVIII
გული და გონება 113
თავი XIX
სილამაზე და ხელოვანი 117
თავი XX
დამოკიდებულება 123
თავი XXI
რწმენა 129
თავი XXII
სიზმრები 135
თავი XXIII
ტრადიციები 142
თავი XXIV
განპირობებულობა 147
თავი XXV
ბედნიერება 156
თავი XXVI
სწავლა 162
თავი XXVII
თვითგამოხატვა 168

თავი XXVIII
ვნება 171
თავი XXIX
წესრიგი 175
თავი XXX
ინდივიდი და საზოგადოება 179
თავი XXXI
მედიტაცია და ენერგია 182
თავი XXXII
აზრის დასასრული 190
თავი XXXIII
ახალი ადამიანი 194

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 199

თავი I

გაცნობიერება

შემკითხველი: მე მინდა ვიცოდე რას გულისხმობთ თქვენ გაცნობიერებაში, რადგან ხშირად ამბობთ, რომ სწორედ გაცნობიერებაა თქვენი მოძღვრების ნამდვილი შინაარსი. ვცდილობდი ამ საკითხს ჩავწვდომოდი, როცა თქვენს საუბრებს ვუსმენდი და თქვენს წიგნებს ვკითხულობდი, მაგრამ დიდი არაფერი გამომივიდა. ვიცი, რომ ეს რაღაც პრაქტიკა არ არის და ისიც მესმის რატომ უარყოფთ ასე დაჟინებით ყველანაირ პრაქტიკას, წვრთნას, სისტემას, დისციპლინას თუ რუტინას. მე ვხვდები, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სხვანაირად ხომ გაცნობიერება მექანიკური ხდება და მისი დასრულებისას გონება ჩლუნგდება და შტერდება. თუ ეს შესაძლებელია მინდა თქვენთან ერთად, ბოლომდე გამოვიკვლიო საკითხი, თუ რას ნიშნავს გაცნობიერება. თქვენ ამ სიტყვაში თითქოს ერთგვარ დამატებით, უფრო ღრმა აზრს დებთ. და მაინც, მე მგონია, რომ ჩვენ გამუდმებით ვაცნობიერებთ იმას, რაც ხდება. როცა გაბრაზებული ვარ, მე ვიცი, რომ გაბრაზებული ვარ. როცა სევდიანი ვარ, ისიც ვიცი და როცა ბედნიერი ვარ, ისიც.

კრიშნამურტი: საინტერესოა, მართლა ვაცნობიერებთ კი ჩვენ სიბრაზეს, სევდას, ბედნიერებას? თუ ასეთ მდგომარეობას ვაცნობიერებთ მხოლოდ მაშინ, როცა მან უკვე ჩაიარა? მოდით ამ საკითხის განსჯა ისე დავიწყოთ, თითქოს მის შესახებ საერთოდ არაფერი არ ვიცით – სულ თავიდან. არ გავაკეთოთ განცხადებები მტკიცების სახით, დოგმატური თუ შეფარული. უბრალოდ, გამოვიკვლიოთ ეს საკითხი. თუ მასში მართლა ღრმად შევაღწევთ, ჩვენ თვალწინ გადაგვეშლება რაღაც უჩვეულო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი გონება

ალბათ არასდროს შეხებია, განზომილება, რომელსაც ზედაპირული გაცნობიერება არ შეხებია. დავიწყოთ ზედაპირული მოვლენით და გავარჩიოთ ის ბოლომდე.

ჩვენ ვხედავთ თვალებით, ჩვენ აღვიქვამთ გრძნობის ორგანოებით ჩვენს გარშემო მყოფ საგნებს, ყვავილის ფერს, ყვავილის ზემოთ მოჭიკჭიკე ჩიტს, ამ კალიფორნიული მზის შუქს, უამრავი სახის ბგერას, სხვადასხვა ხარისხის და სხვადასხვა სიფაქიზის, სიღრმის თუ სიმაღლის. ხის ჩრდილს და თვითონ ხეს. ზუსტად ასევე, ჩვენ ვგრძნობთ საკუთარ სხეულებს, რომლებიც წარმოადგენენ ინსტრუმენტებს ამ მრავალფეროვანი, ზედაპირული გრძნობითი აღქმებისა. აღქმები ზედაპირულ დონეზე რომ რჩებოდეს, საერთოდ არავითარი არეულ-დარეულობა არ იქნებოდა. ეს ყვავილი, იასამფერა,[1] ვარდი, აქ არიან. ყველაფერი ისეა, როგორც არის. არ არის არავითარი უპირატესობის მინიჭება, არავითარი შედარება, არავითარი მოწონება ან არმოწონება. არის მხოლოდ ჩვენს წინ არსებული რაღაც, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ჩართულობის გარეშე. სავსებით ნათელია თუ არა თქვენთვის ეს ზედაპირული გრძნობითი აღქმა თუ ზედაპირული გაცნობიერება? მისი გაფართოება თვით ვარსკვლავებამდე შეიძლება, ზღვების ფსკერამდე, სამეცნიერო დაკვირვების უკიდურეს საზღვრებამდე თანამედროვე ტექნიკის ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით.

შემკითხველი: დიახ, მე ვფიქრობ, რომ ვხვდები მას.

კრიშნამურტი: ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ეს ვარდი, ისევე როგორც მთელი სამყარო და ადამიანები მის შიგნით, და თქვენი ცოლიც, თუკი ცოლი გყავთ, ვარსკვლავები, ზღვა, მთები, მიკრობები, ატომები, ნეიტრონები, ეს ოთახი, კარები – ეს ყველაფერი მართლა არსებობს. ახლა მომდევნო ნაბიჯი:

---

1. მცენარის სახეობა რომელიც მომდინარეობს მცენარიდან იაჟუჟუნა. **იაჟუჟუნა, სამფეროვანი ია** (ლათ. Viola tricolor) – ერთ და ორწლოვანი ბალახოვანი მცენარის სახეობა იისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. დეკორატიულ მებაღეობაში ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებსა და ჯიშებს, რომლებსაც სხვადასხვა შეფერილობის ყვავილები აქვთ, აგრეთვე იაჟუჟუნასა და სხვა იების რთულ ჰიბრიდებს. ველურ იაჟუჟუნას მედიცინაში ამოსახველებელ საშუალებად იყენებენ.

ის, რასაც თქვენ გრძნობთ ამ რაღაცებზე, რასაც გრძნობთ მათთან დაკავშირებით, არის თქვენი ფსიქოლოგიური რეაქცია მათზე და ჩვენ მათ აზრებს ან ემოციებს ვუწოდებთ. ასე რომ, ზედაპირული გაცნობიერება ძალიან უბრალო რამ არის: კარი აქაა. მაგრამ კარის აღწერა, არ არის თვითონ კარი და როცა თქვენ ემოციურად ხართ ჩართული აღწერაში, თვითონ კარს ვერ ხედავთ. ასეთი აღწერა შეიძლება იყოს ერთი სიტყვა ან სამეცნიერო ტრაქტატი ან ძლიერი ემოციური რეაქცია, მაგრამ ამათგან არც ერთი არ არის თვითონ კარი. თუ ამას ვერ გავიგებთ, ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტად დავიბნევით. აღწერა არასდროს არ არის აღწერილი საგანი. თუმცა ჩვენ ახლაც აღვწერთ რაღაცას. – და აუცილებელიც არის აღვწეროთ. – საგანი, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, არ არის ის, რაც აღვწერეთ. ამიტომ გთხოვთ მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში ეს გაითვალისწინოთ. ნურასოდეს ნუ აურევთ სიტყვას იმ საგანში, რომელსაც ის აღწერს. სიტყვა არასდროს არ არის რეალობა, ჩვენ კი ადვილად ავყვებით მას, როცა გადავდივართ გაცნობიერების მომდევნო სტადიაზე, სადაც ის პერსონალური ხდება და ჩვენ სიტყვის წყალობით ემოცია გვეუფლება.

ამრიგად, არსებობს ხის, ჩიტის, კარის ზედაპირული გაცნობიერება და არის რეაქცია მასზე – აზრი, გრძნობა, ემოცია. ახლა, როცა ეს რეაქცია გავაცნობიერეთ, ჩვენ შეგვიძლია, მას გაცნობიერების მეორე სიღრმე ვუწოდოთ. არსებობს ვარდის გაცნობიერება და ვარდზე რეაქციის გაცნობიერება. ნაწილობრივ ამ რეაქციას ვარდზე ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ. სინამდვილეში კი აქ ერთი და იგივე გაცნობიერება ხედავს ვარდს და ხედავს რეაქციას. ეს ერთი მოძრაობაა და შეცდომა იქნებოდა გველაპარაკა გარე და შიდა გაცნობიერებაზე. როცა სახეზეა ხის ვიზუალური გაცნობიერება რაიმე ფსიქოლოგიური ჩართულობის გარეშე, ურთიერთობაში დაყოფა არ არის. მაგრამ, როცა არსებობს ფსიქოლოგიური რეაქცია ხეზე, ასეთი რეაქცია განპირობებული იქნება. ეს მეხსიერების რეაქციაა, დაბადება იმისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „მე“-ს და „არა-მე“-ს ურთიერ-

თობის პროცესში. აი, ასე აყენებთ თქვენ თავს სამყაროსთან დამოკიდებულებაში. აი, ასე ქმნით თქვენ ინდივიდს და საზოგადოებას. სამყარო ჩანს არა ისეთი, როგორიც არის, არამედ თავის მრავალფეროვან ურთიერთდამოკიდებულებებში „მე“-სთან, რომელიც მეხსიერების საკუთრებაა. მთლიანად ვართ ჩვენ დარწმუნებული, რომ აღვიქვით ეს? ეს დაყოფა არის ცხოვრება და გაფურჩქნა იმ ყველაფრისა, რასაც ჩვენ ფსიქოლოგიურ ყოფას ვუწოდებთ. და სწორედ აქედან ჩნდება ყველა წინააღმდეგობა და დაყოფა. ბოლომდე ხართ დარწმუნებული იმაში, რომ აღიქვით ეს? როცა არსებობს ხის გაცნობიერება, მაშინ შეფასება არ არის. მაგრამ, როცა არის რეაქცია ხეზე, მისი განსჯა, როცა ის მოსწონთ ან არ მოსწონთ, მაშინ, ამ გაცნობიერებაში, ხდება დაყოფა „მე“-დ და „არა-მე“-დ, თანაც „მე“ დასაკვირვებელი საგნისაგან განსხვავდება. ასეთი „მე“ ურთიერთდამოკიდებულებებში წარმოადგენს პასუხს წარსულის, მეხსიერების, ადრინდელი გამოცდილების მხრიდან. და აი, შეიძლება თუ არა არსებობდეს გაცნობიერება, ხის დაკვირვება ყოველგვარი განსჯის გარეშე. შეიძლება თუ არა ასევე პასუხის დაკვირვება, რეაქცია ყოველგვარი დასკვნის გარეშე?

ასეთი გზით ჩვენ აღმოვფხვრით დაყოფის პრინციპს, „მე“-ს და „არა-მე“-ს პრინციპს, როცა ვუყურებთ ხესაც და საკუთარ თავსაც.

დამკვირვებელი: მე ვცდილობ თქვენს აზრთა მდინარებას მივყვე. ვნახოთ სწორად გავიგე თუ არა თქვენი ნათქვამი. არსებობს ხის გაცნობიერება. ეს მე მესმის. არსებობს ფსიქოლოგიური რეაქცია ხეზე და ესეც მესმის. ასეთი ფსიქოლოგიური რეაქცია შედგება წარსულის მოგონებებისგან და წარსული გამოცდილებისაგან. ეს არის მოწონება და არმოწონება. ეს არის დაყოფა „ხე-დ“ და „მე“-დ. მე მგონი ეს ყველაფერი მესმის.

კრიშნამურტი: ეს ისევე ნათელია თქვენთვის, როგორც თვითონ ხე, თუ აქ მხოლოდ აღწერაა ნათელი? გახსოვდეთ, როგორც უკვე ვთქვით, საგნის აღწერა, ეს აღწერა არ არის. რა მიიღეთ თქვენ: თვით საგანი თუ მისი აღწერა?

შემკითხველი: მე ვფიქრობ, საგანი.

კრიშნამურტი: ამიტომ აქ არ არის „მე“, რომელიც წარმოადგენს აღწერას ამ ფაქტის ხედვის პროცესში. ხედვაში ნებისმიერი ფაქტისა „მე“ არ არის. არსებობს ან „მე“, ან ხედვა. ორივე ერთად შეუძლებელია. „მე“ – ეს ხედვის არარსებობაა. „მე“-ს არ შეუძლია დაინახოს. „მე“-ს არ შეუძლია გააცნობიეროს.

შემკითხველი: ნება მომეცით აქ შევჩერდე. მე მგონი ნათქვამი ვიგრძენი, მაგრამ დრო მჭირდება, რომ ის ჩემს სიღრმეში ჩაიძიროს. შემიძლია ხვალ კიდევ ერთხელ მოვიდე?

შემკითხველი: მე ვფიქრობ, რომ ნამდვილად გავიგე. არავერბალურ[2] დონეზე, ის, რაც თქვენ გუშინ თქვით. არსებობს ხის გაცნობიერება, არსებობს განპირობებული რეაქცია ხეზე და ეს განპირობებული რეაქცია არის კონფლიქტი, ეს არის მოქმედება მეხსიერებისა და წარსულის გამოცდილებებისა, ეს არის მოწონება და არმოწონება, ეს არის ცრურწმენა. მე ასევე გავიგე, რომ ეს რეაქცია ცრურწმენის მხრიდან, არის დაბადება იმისა, რასაც ჩვენ „მე“-ს ან ცენზორს[3] ვუწოდებთ. მე ნათლად ვხედავ, რომ ეს „მე“, „ჩემი“, არსებობს ყველა ურთიერთობაში. მაგრამ არსებობს თუ არა „მე“ ურთიერთობის გარეთ?

კრიშნამურტი: ჩვენ ვნახეთ როგორ მძიმედაა განპირობებული ჩვენი რეაქციები. როცა თქვენ კითხულობთ არსებობს თუ არა „მე“ ურთიერთობის გარეშე, სანამ არ არის თავისუფლება ამ განპირობებული პასუხებისაგან, თქვენი შეკითხვა უბრალოდ სპეკულატიური ხდება. გესმით თქვენ ეს? ამიტომ ჩვენი

---

2. **არავერბალური** კომუნიკაცია – კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ხმის ტონის, მანერების, გამომეტყველების, გარეგნობის, პოზის, ჩაცმისა და ურთიერთბობისას დაკავებული მანძილის მეშვეობით. **ვერბალური** – ზეპირი, სიტყვიერი.

3. **ცენზორი** (ლათ. censor – ქონებას აღვწერ, შევაფასებ) – ძველ რომში ერთ-ერთი უმაღლესი მაგისტრატურა.

გამომცემლობა აქტი-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა

4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან

21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები

23. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
24. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

25. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
26. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

27. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია

28. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
29. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

30. ოშო – რა არის მედიტაცია?
31. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე